# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პრ. ასპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 8 მ. მე-4 გვერდზე—6 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—250 მ. 1-ლი სიტყვის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
ჟურნალი „საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალი №—10 მ.

წლიწადი მეექვსე. | ოთხშაბათი, მარიამობისთვის 25. 1920 წ. № 83 | ფასი 10 მანეთი.



## დამფუძნებელნი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო

# ბანკისა

ქ. ქუთაისში,

ამით აცხადებენ, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 15 ივლისს

## ხსენებული ბანკის წესდება დაამტკიცა.

პირველი თანხა ბანკისა პირველ ხანად არის განსაზღვრული ოცი მილიონი მანეთი (20,000,000 მ.) თითო აქცია ღირს ათასი მანეთი 1000 მ.) ერთ აქციას იძლევა ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების ნახევარიდა საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად ერთდროულად ორმოცდა ათი მანეთი (50 მ.) თითო აქციაზე. ხელის მოწერა მიიღება 4 სექტემბრამდე შემდეგ ბანკებში: ქუთაისში: სამეურნეო-სამრეწველო და საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში. თბილისში: ცენტრალურ ბანკში, ამიერ-კავკასიის ბანკში და სამეურნეო ნდობის საზოგადოებაში. ბათომში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. ფოთში: ქართულ სავაჭრო ბანკში. ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, სენაკში, ზუგდიდში და ხონში ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში.

1—9—4

## სხვაგან სად! თუ არ სასადილოს

## „ტამირაში“?!

(ყოფილი „ეკონომია“)

პუშკინის ბაღის პირდაპირ

| | | |
|---|---|---|
| ვისაუზმოთ დილ. | . . . | 10—12 ს. |
| ვისადილოთ „ | . . . | 12—6 ს. |
| ვივახშმოთ „ | . . . | 6—12 ს. |

ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დალიოთ: მაგარი სასმელები და მადნეული წყლები

მობრძანდით და დარწმუნდით.

## განცხადება.

25 აგვისტოდან ამა წლის ქალაქის ტრამვაიზე, თანახმად ხაზების დაგეგმილების, შემოღებულ იქმნა შემდეგი

### ტარიფი:

| | | |
|---|---|---|
| ერთი სადგურის გავლისათვის | 10 | მან. |
| ორი „ „ | 20 | „ |
| დიდების, ვაგზლის ქუჩის და სასაკლაოს ხაზის გავლისათვის | 5 | „ |

აბონიმენტის წიგნაკებიდან, რომელიც გაცემულა 24 აგვისტომდე უნდა ამოხეულ იქმნას: 150 მანეთიან წიგნაკიდან ერთი სადგურისათვის 2 ბილეთი; 300 მანეთიან წიგნაკიდან ორ სადგურამდე 2 ბილეთი.

1—3087—1

თბილისის ქალაქის გამგეობა.

××●×× საზოგადოების საყურადღებოთ ××●××

## დავით იაგორის-ძე კალანდაძე

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

## კონიაკის, არაყის და ლიკიორის

მ. ნ. აივაზოვისა, ყოფილი სავაჭრო სახლი ძმ. სეილანოვებისა პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის საკუთრებაში. ახლა ჩანში სასმელები გამოვა კალანდაძის ფირმით სადგურის ქ. № 5, სახლი სომხების სასულიერო სემინარიისა.

27

გაძლევ უცხო ენის გაკვეთილებს

## ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ ენებისას,

როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად.

დიპლომი მიღებული მაქვს პარიზის უნივერსიტეტ. სორბონიდან.

მისამართი: სასამართლოს ქ., 33. ბარდა ორლა

## თბილისის კომერციული სასწავლებელი.

მიიღება თხოვნები გაეროვნებულ-ქართულ მე-8 კლასში შესასვლელად. მისაღებად საჭიროა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში კურსის დამთავრების მოწმობა, ანუ საშუალო სასწავლებლის ოთხი კლასის გავლისა. იმ პირთ, რომელთაც არ მოეპოვებათ ასეთი მოწმობა, დაენიშნებათ გამოცდა, თუ თავისუფალი ვაკანსია აღმოჩნდა. თხოვნების მიღება სწარმოებს ყოველ დღე სასწავლებლის კანცელარიაში, 19 თებერვლის ქუჩა, № 2. გამოცდები დაიწყება 8 სექტემბერს, დილის 9 საათიდან.

2—1


## პოლონეთი და რუსეთი.

როდესაც ბოლშევიკური არმია ელვის სისწრაფით მიეშურებოდა ვარშავისაკენ და პოლონეთის ჯარის ნაწილი პრუსსიაში თავს აფარებდა, ბევრი დარწმუნებული იყო, რომ პოლონეთს, როგორც სახელმწიფოებრივ ორგანიზმს ბოლო ეღება ფაქტიურად; დამოუკიდებელ პოლონეთის ნაცვლად უნდა გამოცხადებულიყო „საბჭოთა პოლონეთი“ „წითელ“ აზერბაიჯანისებრ!

მაგრამ მოხდა ის, რასაც თითქმის არავინ ელოდებოდა: ვარშავის დასაცავად და, მაშასადამე, თავისუფლებისა და ნაციონალურ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მთელი პოლონეთი ფეხზე დადგა. აღდგენილ სახელმწიფოს მილიტარულ ენერგიის უკიდურეს დაძაბვამ გასტეხა წითელარმიელების ფოლადის რკალი... უკანასკნელ დეპეშების მიხედვით პოლონეთიდან საბჭოთა ჯარების საერთო უკუქცევა დაიწყო, ხოლო ზოგიერთ მუნქტებში ამ უკუსვლას პანიკის სახე მიეცა! მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები უკანვე პოლონელების ხელში გადადის და ამრიგად სწრაფი და მოფიქრებული კონტრ-შეტევა პოლონეთის სახელმწიფოებრივ საზღვრების აღდგენით დამთავრდება სულ ახლო დღეებში.

რა ხასიათისაა პოლონეთ-რუსეთის ომი? რა მიზანს ისახავს თვითეული ამ სახელმწიფოთაგანი, ასეთის დაუნდობელის მრისხანებით რომ ეკვეთებიან ერთიმეორეს და კულტურულ-ეკონომიურად რომ ავერანებენ ისედაც გაძვალტყავებულ ქვეყანას?

ზოგი აზირებული პოლიტიკოსი ლამობს დაამტკიცოს, თითქოს პოლონეთი ამ შემთხვევაში ანტანტის ბრმა იარაღია, თითქოს რუსეთსა და პოლონეთს ურთიერთ დამოკიდებულებაში სრულებით არ მოეპოვებათ საკონფლიქტო საბაბი! პოლონეთი ებრძვის საბჭოთა რუსეთს იმიტომ, რომ ეს დაავალებული აქვს საფრანგეთისაგან?

მართალია ეს?

ცნობილი ერთი რამ: ბურჟუაზიის სამხე-

ტია უსათუოდ პოლონეთის მხარეზე არის, განათლებულ ევროპისათვის რუს-ბოლშევიკების გამარჯვება პოლონეთში მომასწავებული იქნებოდა ყოველს შემთხვევაში იმისა მაინც, რომ ბარბაროსობა და უკულტურო მეთოდები სახელმწიფო მართვა-გამგებლობისა უახლოვდება ევროპას. ამ თვალსაზრისით უყურებს ანტანტი პოლონეთის ბრძოლას. ესევე მოსაზრება ალბად უკარნახებდა მას ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინა ახალ სახელმწიფოსათვის მოზღვავებულ წითელარმიელებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში! ევროპა მართალია დაინტერესებულია ბოლშევიკების დამარცხებაში, მაგრამ მან ისიც უწყის, რომ ამ მიზანს ვერ მიაღწევს მსოფლიოს საშინელ ომისაგან გაობრებულ-დანგრეულ პოლონეთის საშუალებით...

პოლონეთის საზღვრებზე იმავე მოვლენას ჰქონდა ადგილი, რასაც ჩვენ ვხედავთ ყველგან, სადაც ველიკოროსიული რუსეთი გეოგრაფიულად ერთვის მისგან ჩამოშორებულ ერსა თუ სახელმწიფოს. განა დაახლოვებით იგივე სურათი არ იყო საქართველოს ჩრდილო სანაპიროებში, სადაც ჩვენი ჯარი იძულებული ხდებოდა მოეგერებინა რუსების შემოტევა, განურჩევლად იმისა, ვინ გვეზრახებოდა—დენიკინის თეთრ არმიელი, თუ ტროცკის წითელარმიელი!?

რუსეთის აღდგენა-რესტავრაცია ძველს სახელმწიფოებრივ საზღვრებში უნდოდა (და დღესაც უნდა) რუსეთში მოქმედ ყოველს სოციალ-პოლიტიკურ მიმართულებას! რუსეთი, როგორც ამბობენ, ებრძვის მისგან განშორებულ განაპირა ქვეყნებს მიუხედავად იმისა, ფორმალურად სცნო, თუ არა მათი დამოუკიდებელი არსებობა: ეს შიშა უმეტეს შეეხება კომუნისტურ რუსეთს, რომელიც მუდამ ფაქტიურ განწყობილებას და ქმედებას იძლევა ურთიერთის...

# დღეს

ლიონის რადიო სადგურის ცნობით წითელ არმიელები უწესრიგოთ უკან იხევენ.

ბრიტანეთის მთავრობამ ეგვიპტის დამოუკიდებლობის გამოცხადება გადასწყვიტა.

ფრანგული პრესის ცნობით საქართველო-სომხეთის დამოკიდებულება ბოლშევიკების საფრთხის შემდეგ გაუმჯობესდა.

მუსეინოვის წინადადება საბჭოთა აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის შესახებ სომხეთის მთავრობამ უარჰყო.

ვრანგელის ჯარებმა ლოჭა დაიკავეს.

## წერილები.

მეთაური: პოლონეთი და რუსეთი.
ი-ნ. ისევ ძველი შეცდომები.
ნ. აზიანი: სიძვირე და მომატება.
მოსკოვის სურათები.

დაახლოვებით, ვიმეორებ, ამავე შინაარსისაა რუსეთის ომი პოლონეთთან. ყველა სხვა მომენტი არის მხოლოდ თანდართული, შემდგომი წარმოშობისა...

ასე გვესმის ჩვენ დედა აზრი იმ ბრძოლისა, რომლის საოცარ გარდატეხას ალბად, ბევრი პოლიტიკური ეფფექტი დაერთვის თან.

პოლონეთს ასცდა უდიდესი და უსაშინელესი კრიზისი. მისი სახელმწიფოებრივობა უზრუველყოფილად უნდა ჩაითვალოს. სახელმწიფოებრივი არსებობა მისი ამიერიდან ხელშეუხებელია და ეს ფაქტი სიამოვნების გრძნობას გამოიწვევს განთავისუფლებულ საქართველოშიც.

ომი რუსეთსა და პოლონეთს შორის უნდა დასრულდეს ორივე მხრისათვის საპატიო მტკიცე ზავით და ეს კი იმათ მოვალეობას შეადგენს განსაკუთრებით, ვინც ქ. მინსკის სამშვიდობო კონფერენციაზეა მიგზავნილი ორივ სახელმწიფოს მიერ.

## ისევ ძველი შეცდომები.

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა უცნაური ჯადოსნური წრით შემოიხაზა: სამი წელიწადი გრძელდება სხვა და სხვა ეკონომიურ ღონისძიებათა ცდა. ყველა ცუდი გამოდგარა. გამოუცვლია თითქოს სხვა გზა ამოურჩევიათ, მაგრამ ეს გზები არასოდეს არ გაშორებულა იმ ჯადოსნურ წრეს, რომელშიც მოექცა ჩვენი არეული პოლიტიკა. დავიწყეთ მონოპოლიებით. აღვკრძალეთ საქონლის თავისუფალი მოძრაობა არამც თუ საზღვარს გარეთისა, არამედ საშინაო ბაზარზეც. გავამეფეთ რეკვიზიციები, მრავალი შეზღუდვა და შეფერხება.

არ გამოგვადგა. ცხოვრება აუტანელი შეიქნა ასეთს პირობებში. სიძვირე დღითი დღე მატულობდა. თითქოს უარვყავით ეს გზა. ჩვენი მთავრობის მეთაურებმა აღკრძალეს რეკვიზიციები, სხვა და სხვა შეზღუდვანი. მაგრამ ეს განკარგულებანი უმეტეს შემთხვევაში არ სრულდებოდა. იმ პირთათვის, ვის ხელში არის ეხლა ძალა-უფლება ცენტრში თუ ადგილობრივ, მონოპოლიები და რიკვიზიციები მეტად სასარგებლო საქმე გახდა.

თანდათან დაუბრუნდით ისევ ძველ გზას. ეხლა ჩვენი მმართველი პოლიტიკა ორ სკამზე ჰზის. მას ძველი არ მოსწონს, მაგრამ ვერც ახალი გეზი აუღია.

ასე ვტრიალებთ დაუსრულებლივ ჯადოსნურს წრეში. ვერ გვინახავს გამოსასვლელი გზა. უკედ რომ ვთქვათ, ვერ გაგვიბედნია. ჩვენი მმართველებისათვის უთუოდ ცხადია, რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გამოსწორება შეიძლება მხოლოდ პოლიტიკის რადიკალურად შეცვლით. საჭიროა მტკიცედ დავადგეთ ევროპის გზას და თავი დავაღწიოთ რუსეთის ნაანდერძევ პოლიტიკას.

მაგრამ ეს ვილაცას აშინებს, ვილაცას არ მოსწონს, ვინაიდან შიშობენ, ევროპის პოლიტიკის მიღებამ ამოახმოს ის სოციალისტური ყვავილები, რომელნიც ასე გაიფურჩქნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს დაქვეითებასა და გასაჭირზე. ამიტომ ცხოვრებას კიდევ უკან ეზიდებიან. ჩამორთმევის და წართმევის ეპიდემია კიდევ მძინვარებს. ცხოვრებიდან სრულიად დაგმობილი წარსული წლების სასურსათო პოლიტიკა ისევ ახლდება. და რესპუბლიკის ერთი კუთხიდან მეორეში ხორბლის გატანის თავისუფლება იზღუდება. ხორბლის გადატან გა მოტანა უნდა ხდებოდეს მომარაგების სამინისტროს ნებართვით! ნეტავ რატომ? რისთვის არ უნდა შეიძლებოდეს.

## მოსკოვის სურათები.

ამ დღეებში მოსკოვიდან ჩამოსულთა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საუბარი ჰქონდა, რომელმაც ზოგი ერთი საყურადღებო ცნობანი გადმოგვცა მოსკოვის დღევანდელი ცხოვრების შესახებ. მოსკოვის საერთო სურათი.

ქალაქი შედარებით სუფთაა ქუჩები დაგვილი და დასუფთავებულია, მაგრამ იგინი იხვეტება და იგვება ყოფილ არისტოკრატიის და ბურჟუების და მათ ცოლების მიერ ხშირია შემთხვევა როდესაც ყოფილი წარჩინებული პირის მეუღლე ქუჩასა ჰგვიდა როდესაც დიდი თოვლი მოვიდა ქუჩების დასასუფთავებლად გამოჰყავდა ყველა 15—45 წლამდე, ქალიც და კაციც. მაღაზიები ღიაა, მხოლოდ ყველა მთავრობის დაწესებულებების ხელში იმყოფება. ყოვლისფერი აწერილია. ტრამვაები დადიან მაგრამ ძალიან მცირე რიცხვია მათი და დიდი საქმეა რომ ადამიანი ტრამვაიში მოჰხვდეს ქუჩები ღამით არ ნათდება. გამუდმებით ქუჩებში წითელ არმიელები დადიან მგზავრებს სთხოვენ პასპორტს, პირადობის მოწმობას პირად მოწმობას სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ და რეგისტრაციის ბარათს ქალებისათვის კი საჭიროა სამსახურის მოწმობა, პასპორტი და ვინც სწავლობს მოწმობა ყოველ წუთს.

წარმოდგენის დროს, ქუჩაში თუ სხვაგან მოსალოდნელია „ობლავა“.

### სურსათი

ჩვეულებრივ სულზე აძლევენ ორი დღით 3 4 გირვანქა პურს შემდეგ უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ერთს გირვანქას ორი დღისათვის მაგრამ უკანასკნელ დღეებში აგვისტოს 5 - 6 ს პურს სრულიად არ იძლეოდნენ ვინაიდგან საწყობებში არ მოიპოვებოდა და ხალხს კი განუცხადეს რომ საცხობის მუშები არ მუშაობენო სურსათის მიღებისათვის დაწესებულია სამი ბარათი 1 რათო მოხუცებულებისათვის: ამით შეიძლება ყოველივე წვრილმანის ყიდვა 2, შრომის ეს წოდება იმიტომ რომ მხოლოდ მოსამსახურეთ ეძლევათ ამ ბარათით შეიძლება მიიღოთ ყოველივე სურსათი პურის გარდა. სამსახურში ინიშნებიან ძვრედ წოდებული „დვოიკები“ რომელიც ყურს უგდებენ მოსამსახურეთ თუ შეამჩნეს გულგრილობა, ან დაგვიანება ან საზოგადოდ არ მოეწონათ ამ ბარათიდან ამოჭრიან ერთ კუპონს და მაშინ მოსამსახურე ჰკარგავს ამ წილს.

2. პურის ბარათი ამით აიღებენ პურს ყველა. მუშები იღებენ კიდევ დამატებით პურის ბარათებს და ხანდახან მეტს იღებენ, ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ მოსამსახურეთ ჰყოფნიდეთ ხაზინის მიერ გაცემული სურსათი. ამის მიზეზი სწორედ, რომ გახვითარებულია უმაღლეს წერტილამდე სპეკულიაცია და მეჭურთამეობა. მაგალითად, გირვანქა პური ღირს 500-600 მანეთი ჰლირს და თეთრ პურს თუ იშოვით, ისიც 1200 მან.—1500 მანეთამდე, შაქარი 4000—5000 მან. და ასე სხვა პირველ საჭიროების საგნები, იმ დროს როდესაც მუშა და საზოგადოთ მოსამსახურე იღებს 15,000 მდე იმ შემთხვევაში, თუ ყოველთვის დადის სამსახურში, და ზედმეტსა მუშაობს.

ფეხსაცმელი ტყავისა ეს ისეთი იშვიათი მოვლენაა, რომელიც აცვიათ მხოლოდ კომისრის ცოლებს, „კურსანტებს“ და ამ გვართ. ჩვეულებრივ მოქალაქე კი იცვავს ხის ფეხსაცმელს. საზოგადოდ სურსათის კრიზისი მეტად დიდი მით უმეტეს რაკი გლეხები აღარ ჰთესავენ იმაზე მეტს, რაც თითონ ეყოფათ. ამ ნიადაგზე საბჭოთა ქალაქებში მოსალოდნელია დიდი შიმშილი, რომლის ნიშნები უკვე არის.

### ნადირობა ქალებზე.

სამუშაო გაჰყავთ ყველა და ამ უკანასკნელ ხანებში კი სწარმოებს საშინელი „აბლავები“ ქალებზე. ყველას იჭერდნენ, ვისაც განსაკუთრებული სამუშაო არა ჰქონდათ და ამუშავებენ რაიმე ნამუშაოზე. ამ შემთხვევაში კი ეგრედწოდებული „სოტკოძები“ განსაკუთრებულ პირობებში არიან, იგინი კვლავ დიდებულად იცვამენ, ძვირფასეულობით იკაზმებიან და ორგიულ დროს გატარებაში ატარებენ დღეებს.

### სასწავლებლები.

საშუალო სასწავლებლები მუშაობენ, მაგრამ იმიტომ უფრო კი, რომ ბავშვებმა პური და სურსათი მიიღონ. ისე კი სწავლა ძალიან დაბლა დონეზეა დაყენებული. უმაღლესი სასწავლებლებლებიც ძალიან ცუდად მუშაობენ, რადგან როგორც პროფესორები ისე სტუდენტები პურის შოვნას ანდომებენ. კონსერვატორია აშ იღებენ ყველას განსაკუთრებით მუშებიდგან; აქვს ამის უნარი თუ არა, არ არჩევენ, საკმარისია მხოლოდ სურვილი.

### თეატრები.

თეატრები მოქმედებენ, მაგრამ ყველა არტისტები, როგორც ოპერისა, ისე დრამის თამაშობენ არა ისე, როგორც წინად, არამედ სასხვათაშორისოდ, აქ ქართულ მიზეზი აქაც სურსათის სიმცირეა და შიმშილია, რადგან ერთი არტისტი იძულებულია ერთ დღეს რამდენიმე თეატრში მიიღოს მონაწილეობა და იღებდეს ფულს, რომ სიმშილით სული არ ამოჰხდეს.

### ლიტერატურა.

წიგნები ძალიან ცოტა იბეჭდება. თუ იბეჭდება ისიც კომუნისტური და საგიტაციო ლიტერატურა სამეცნიერო ნაშრომები სრულიად არ არის და ამას მიზეზს რაც მოსკოვს იქით წიგნის გატანა სასტიკად იკრძალება. მხატვრული გამოცემების ჰაჭანებაც კი აღარ არის.

### ქუჩებში

ქუჩები კი, საშინელ დაბალ დაბალ ხარისხის ალმანახსა ჰგავს. მორთულია წითელი ბაირახებით და მრავალი კარიკატურებით და პლაკატებით რომელნიც ან კომუნისტების ცხოვრების გამოჰხატავენ, ანდა მათ მოწინააღმდეგეების სასხ არის პლაკატი, როგორ სცემენ დვდლებს წითელ არმიელებს „ძახილი“ და სხვა ამ გვარი საერთოდ კი მთელი მოსკოვის ცხოვრება მთლიანი კამპანია და საშინელი დაწესებულია ზოგი დღესასწაულებიც (მესამე ინტერნაციონალი) სადაც თავის მიმდევრებსართობდნენ. ჰაეროსტატებით იჰყავდათო. წამოვედი და დავტოვე ის საშინელება და ეხლაც მეძნელება კიდეც იმ უბედურობისა განაცხადა ჩვენმა მოსურნემ როგორ შეხვდენ ურატაძეს შეკითხვაზე თუ რით დაახლოვდნენ ჩვენს წარმომადგენელს გ. ურატაძეს ვერ, გიპასუხა, რადგან მისი ჩამოსვლა და მოსკოვში მხოლოდ მის წასვლის შემდეგო გაუგიათ და უკმაყოფილოთ აღნიშნავს, რომ ჩამოსვლა ეცნობებინა, იქნებ ჩვენი ახალგაზრდობას, რომელიც საშინელ გაქირვებას განიცდისო, რითიმე დაჰხმარე ბოდა ჩვენ წარმომადგენელს და თავის მხრივაც იქნებ აღმოაჩინოთ მისთვის რაიმე დახმარება რომელსაც იქაური ქართველობა დიდათ საჭიროებს და, უპირველესად მისგან დაუსახავ? როგორმე დახწიონ მოსკოვის უბედურებას თავი და სამშობლოს დაუბრუნდნენ.

# დეპეშები

ს. დ. ს.

## ფრანგული პრესა.

### საქართველო—სომხეთის დამოკიდებულება.

ჟურნალ „დე-დება“ იუწყება: ბოლშევიკურ საშიშრების გამო დამოკიდებულება საქართველოსა და სომხეთის შორის გამუჯობესდა. საქართველო ფრთხილად თვალყურს ადევნებს ბოლშევიკურ პროპაგანდას და ყოველ ზომებს იღებს მის აღმოსაფხვრელად. მიუხედავათ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელობის რწმუნებისა მაინც ეწევიან ბოლშევიკურ პროპაგანდას: მთავრობამ ამ პროპაგანდის კვალს მიაგნო.

### ნიდ რანდია და ერთა ლიგა

ჟურნალი „დე-დება“ სწერს ნიდერლანდიას მთავრობასა და ლიგის ბიუროს შორის დამოკიდებულება თანდათანობით მტკიცდება. მთავრობამ გადაასწყვიტა ბიუროში სპეციალური წარმომადგენელის გაგზავნა.

### ახალშენების რეორგანიზაცია.

„ჟურნალ ოფისიელში“ დაბეჭდილია დეკრეტი ახალშენთა სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ. მიხედვით ადმინისტრატიული დეცენტრალიზაცია სამინისტროში იქნება ცხრა განყოფილება.

### საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა.

1920 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში საფრანგეთის მიერ წარმოებულ საგარეო ვაჭრობის საერთო ციფრი ამტკიცებს, რომ საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება. მართლაც მაშინ, როდესაც საქონლის გატანა 1919 წელთან შედარებით 7 მილიარდი მან. გაიზარდა, შემოტანამ მხოლოდ 2 მილიარდი და 700 მილ. მან მოიმატა. 1919 წლის განმავლობაში საფრანგეთში შემოტანილი იყო ქვანახშირი 2. 670. 728 000 ფრანკის, ხორბალი და ფქვილი 2. 348. 145. 000 ფრანკის ბამბა (დამახინჯებულია) 1. 760. 761. 000 ფრანკის თუჯი, რკინა და თითბერი 1. 349. 542. 000 ფრანკის მატყლი 1. 235, 623. 000 ფრანკის მანქანები და მექანიკური მოწყობილებანი 1. 112. 502 000 ფრანკის. საფრანგეთიდგან აბრეშუმის ექსპორტი უდრის 8. 000 318. 000 ფრანკს, საცვლების, ტანისამოსის 512. 221. 000 ფრანკს, ქიმიურ პროდუქტების 333: 368 000 ფრანკს და ღვინის 214. 555. 000 ფრანკს.

## მოსკოვის ცნობა.

### ლიტვინოვი ნორვეგიაში არ შეუშვეს.

მოსკოვი. 16 აგვ. ნორვეგიის მინისტრი მიშლე, თანახმად „იზვესტიის“ ცნობისა, რუსეთსა და ნორვეგიის შორის სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის ხელს უშლის. მიშლეს მოთხოვნილებით ლიტვინოვს ნორვეგიაში შესვლაზე უარი უთხრეს.

## ლონის ცნობები.

### პოლონეთის იერიშები.

პოლონეთის შეტევა. თანახმად ვარშავიდან მოსულ ცნობებისა პოლონეთის გენერალურმა შტაბმა მოახდინა გადაჯგუფება და შექმნა ორი არმია, ერთი ჩრდილოეთის ფრონტზე, გალერის სარდლობით და მეორე ცენტრში მარშალ პილსუდსკის მთავარ სარდლობით. ამ არმიებს დაკისრებული აქვთ სწრაფი შეტევით მოუჭრან გზები უკან დახეულ წითელ ჯარს. აგვისტოს 22 საღამოთი ასეთი მდგომარეობა იყო მარცხენა ფრთაზე წითელთა ცხენოსანი ჯარი, რომელიც ბრძოლებში რამოდენიმეჯერმე დამარცხდა, განდევნილ იქნა სოლდაუდან და ვისლის ჩრდილოეთით პლოცკისა და ტორნის შუა მდებარე რაიონიდან. გალერის ჯარებმა მლავის ხაზს მიაღწიეს. მარჯვენა ფრთა განაგრძობს შეტევას-ოსტროლენკი, მიმართულებით. პილსუდსკის ჯარმა დაიპყრო რა ოსტროვ-ბრიანსკის ხაზი, განაგრძობს მტერის დევნას ლომჟასა და ბელისტოკის მიმართულებით. მარჯვენა ფრთაზე ბრესტ-ლიტოვსკი არის აღებული. იტყობინებიან, რომ გენერალი ბუდიონიმ, რომელიც დემბერგის რაიონში წარმოებულ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, თავის ძალების გადაჯგუფების შემდეგ, სრულიად შეცვალა თავისი მიმართულება. აგვისტოს 15-დან პოლონელების მიერ სულ 27,000 ტყვე არის წამოყვანილი პილსუდსკის ჯარებმა ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო ქონება. (დ. ს.)

### ბოლშევიკური ლაშქარის დეზორგანიზაცია.

აგვისტოს 24. (რადიო). პოლონელების შეტევის შემდეგ ბოლშევიკურ ჯარში, ყოფილი სამაგალითო დისციპლინა, ახლა უკვე აღარა არსებობს. წითელი არმიელები უკან იხევდნენ მიუხედავად უფროსთა ბრძანებისა.

### სირიის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის მოკვლა.

სირიაში მოკლეს საბჭოს თავმჯდომარე. კაიროდან იუწყებიან: მატარებელში, რომელიც პარასკევს დამასკს მიმართულებით გაემგზავრებოდა საბჭოს თავმჯდომარე დრუბი ფაშა და სხვა მინისტრები იყვნენ. იმ მატარებელს დაეცნენ (გამოტოვებული) ბანდები. მოკლეს დრუბი-ფაშა სირიის საბჭოს თავმჯდომარე და აბამან იუსუფ ფაშა.

### ჩეხო-სლოვაკიის კავშირი.

„პრაგ'კაი ტრიბუნა“ აღნიშნავს, რომ ბელგრადში მინისტრთა საბჭომ მოიწონა თავდაცვითი კავშირი, რომელიც სამხრეთ სლავიამ და ჩეხო-სლოვაკიამ შეკრეს. სერბიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კესნიჩი ეროვნულ კრებას მოხსენებას წარუდგენს. მაშინ განიხილავენ საზავო ხელშეკრულობის ტექსტსაც ბელგრადის პრესა, ჩეხო-სლოვაკიის კავშირს აღფრთოვანებით მიეგება.

# უცხოეთი

## ლონდონი.

ინგლისიდან უკანასკნელ ხანებში ჩამოსულმა ჩვენმა თანამშრომელმა შემდეგი ცნობა მოგვაწოდა ლონდონის შესახებ:

თვითმართველობათა და საზოგადოების ყურადღება უმთავრესად მიქცეულია ახალ შენობათა აგებაზე. ეს საქმე ხელთ აქვს თვითმართველობათა, სავაჭრო სამრეწველო პალატის და ზოგიერთ ბანკის წარმომადგენელთა მიერ შემდგარ კომისიას. „პირველი საჭიროება ინგლისის იყო—გამარჯვება გარეშე მტერთან, პირველი საჭიროება ინგლისისა არის—ახალი შენობების და სახლების აგებით გამარჯვება შინაურ ბინის გაჭირვებაზეო“. აგეთია ინგლისურ გაზეთებში, ბანკებში, თვითმართველობაში და ქუჩაზე ყოველ ნაბიჯზე მოკლე და მგრძნობიერე მოწოდებები. შეგროვილია დიდძალი ფული ახალი ბინების ასაგებათ. ყოველ ქუჩაზე თვით ლონდონის სიტაშიც, უმთავრეს ქუჩებზეც კი—პიკადილი სერკუს, ოქსფორდ სტრიტსა, რეჯენტ სტრიტსა და სხ. გაფაცხებითი მუშაობაა ახალ ბინების აშენებისა თუ ძველის გაფართოებისათვის. განსაკუთრებითი ყურადღებაა მიქცეული მუშათა ბინების მოწყობაზე. ბინები შემკულია ყოველგვარ კომფორტით: განათება ელექტრონით, აბანო და სხვ.

მეორე მთავარი კითხვა, რომლის გარშემო დაჭიმულია საზოგადოების საქმიანობის ძარღვები, არის ცხოვრების გაიაფება, რა მიზნისათვისაც ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ მოწვეული იყო თათბირი სავაჭრო სამრეწველო პალატისა და დიდ ფირმათა წარმომადგენელთა, თვითმართველობათა და ბანკების რწმუნებულთაგან. დიდ მუშაობას ეწევა სავაჭრო-სამრეწველო პალატაც.

მუშათა შრომის გაინტენსივება და მეტი ნაყოფის გამოღება—ტრედიუნიონთა მიერ მოწონებული ზომაა; საქონელზე ფასების განახევრება თუ არა, 39-25 პროც. მაინც დაკლება ვალიუტის გასაუმჯობესებლათ მიწონებულია სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ და ხორციელდება დიდ ფირმებთაგან ცხოვრებაში გატარებით. განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ნედლი მასალის გაიაფებაზე: ხორბალი, შაქარი, მატყლი, ქვა-ნახშირი, ხე ტყე და სხვ.

დადგენილია სამინისტროს რჩევით ბანკების კონსორციუმის მიერ ზომები მიიღონ რომ ნედლ მასალის გაძვირება ინგლისის პორტებში არ მოხდეს. ამ მიზანს აღწევენ ჯერ-ხნობით უმთავრესად იმითი, რომ ნედლ მასალაზე არავითარ სესხს არ იძლევიან, რომ მით დააჩქარონ მისი გასაღება. არას დროს ტრესტ-სინდიკატთა მუშაობა ისე საჭიროთა და ნაყოფიერათ არ უგრძვნია ინგლისის მთავრობასა და ხალხს, როგორც ეხლა. ტრესტსინდიკატები დიდ როლს თამაშობენ ცხოვრების გაიაფების საქმეში. ეს მათი ინტერესით არის ნაკარნახევი რადგან ამაზეა დამოკიდებული აგრეთვე ვალიუტის გაუმჯობესების საკითხიც.

# ეკონომიური ვითარება

## უმაღლესი ეკონომიური საბჭო

თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ დადგენილებისა, უმაღლეს საბჭოს დაარსების შესახებ, საბჭოს მოქმედების ძირითადი პრინციპები უკვე შემუშავდა. საბჭოს შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ყველა უწყების, საქართველოს ქალაქების, ერობების, კოოპერატივთა კავშირის და აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები. საბჭო შემდეგ სექციებად იქნება დაყოფილი: 1) სახელმწიფო მეურნეობის 2) მუნიციპალური, 3) საერობო, 4) კოოპერატიული და 5) კერძო მეურნეობის სექცია. გარდა ამისა უნდა მოეწყოს ორი დიდი განყოფილება. სავაჭრო და სამრეწველო საბჭოს მიზანია: სახელმწიფო და იმ კერძო ხასიათის მეურნეობის ხელმძღვანელობა, რომელსაც საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, წარმოებათა მოქმედების გართიანება, ტეხნიკურ ძალთა კონცენტრაცია, ნედლი მასალის მიწოდება. საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება საგზაო აღმშენებლობას უნდა მიაქციოს. მან ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე მსხვილ მეურნეობის განვითარებას და საქონლის შემოტანის და გატანის მოწესრიგებას. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსების შემდეგ არსებული სათანადო ორგანიზაციები განაგრძობენ მუშაობას, მხოლოდ იმ პირობით, რომ მომავალში მათ ხელშეკრულებას საბჭო გაუწევს. ადგილობრივად თუ საჭიროება მოითხოვს გაიხსება სარაიონო საბჭოები, რომელთა მიზნით იქნება სახელმწიფო და საზოგადო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაწევა და საქონლის განაწილება.

### სახელმწიფო ბანკში.

ბანკის ბალანსი. სახელმწიფო ბანკის გამგეობამ აგვისტოს 23 ბალანსი შეადგინა: კასისა აქტივი—548.363,000 მ. მიმდინარე ანგარიში ხაზინაში—950,000 მან.; ნუსხვა თამასუქთა სავაჭრო ვალდებულებათა და სასწრაფო ქაღალდებისა—6.315,000 მან.; სესხი და საგანგებო მიმდინარე ხარჯები—28.388,000 მან.; თამასუქის ქაღალდები და საღერბო მარკები—1.134,000 მან.; მოწყობა და მოწესრიგება—157,000 მან; ამრიგად საერთოდ აქტივი—586.483.000 მ.; ბანკის პასივი ძირითადი თანხა 50 მილ. მან.; მოსამსახურეთა საპენსიო კასა—11,000 მან.; შეტანილი ფული და მიმდინარე ანგარიშები: 535.037,000 მან.; ოპერაციებიდან მიღებული პროცენტები 320,000 მან.; საერთოდ 585.486,000 მან., გარდა ამისა ბალანსში არ არის შეტანილი 121.695,000 მან.; და სხ.

— ბონების კურსის გაუმჯობესება. სახელმწიფო ბანკის გამგეობა ქართულ ბონების კურსის მოწესრიგების საკითხის განხილვას შეუდგა. მოხსენება ამ საკითხის შესახებ წარედგინება მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას.

— დაზღვევის ოპერაციები. სახელმწიფო ბანკი იმ საქონლის დაზღვევას შეუდგა, რომელიც მან გაღებულ სესხის უზრუნველ-საყოფად მიიღო.

## აფხაზეთში.

### ვაჭრობა-მრეწველობის საბჭო.

აფხაზეთის კომისარიატმა დაადგინა: დაარსოს ვაჭრობა-მრეწველობის საბჭო. საბჭოში შევლენ: ქალაქთა თვითმართველობის, ერობათა, კოოპერაციის, ვაჭართა და მრეწველთა და აფხაზეთის კომისარიატის წარმომადგენელნი.

### სანაოსნო საზოგადოება.

სოხუმის აზოვ-შავიზღვის სანაოსნო საზოგადოების აგენტისაგან მიღებულია დეპეშა ბათომიდან რომელშიაც იუწყება, რომ მთავრობისაგან ნებადართულია მიმოსვლა ყველა რესპუბლიკის ნავთსადგურებში. ამასთანავე მოწესრიგებულია მგზავრების წასვლა-წამოსვლა შავიზღვის სანაპიროებზე.

### ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა.

16 აგვისტოს გაიხსნა ყრილობა სოხუმის ოლქის ქალაქების წარმომადგენლებისა.

### აგრარული რეფორმა.

სახელმწიფო მიწების ფონდიდან სამურზაყანოს მაზრაში გადაცემულია უმიწოწყლო გლეხებზე 483 დეს. 1505 კვ. საჟ.

## ბათუმის ცნობა.

### სომხეთის მისიაში. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფერენცია.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინა დადებაზე, აგვისტოს

20 ყაზახში სომხეთ-აზერბეიჯანის კონფერენციის მოწვევის შესახებ, სომხეთის მთავრობამ უპასუხა, რომ ასეთი ყრილობის მოწვევა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების საბოლოოდ დადებამდი ნაადრევია. აგვისტოს 10 მომხდარ ლეგრანთან შეთანხმების ძალით ტერიტორიალური დავა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის უნდა გადაწყდეს იმ ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და სომხეთს შორის დაიდებაო.

## ავსტრიის წით. ჯვრის ხაზ. წარმომადგენელი ბათუმში

ბათომში მოვიდა ავსტრიის მთავრობის მიერ გამოგზავნილი ავსტრიის წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელი დოკტორი ფორმანეკი. მას დავალებული აქვს თურქესტანსა და ამიერ-კავკასიაში დარჩენილ ტყვე ავსტრიელების წაყვანა. ტურქესტანში მყოფ ტყვეებს ბაქო-ბათომის გზით გაგზავნიან. თურქესტანში 13 ათასი ავსტრიელია.

**ხალხთა პირთა დაპატიმრება.** საბჭოთა რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა კიროვმა პროტესტი განაცხადა ბათომში რუსეთის მოქალაქეების დატყვევებისა და გადასახლების გამო. კიროვი აღნიშნავს, რომ ეს რეპრესიები გამოწვეულია მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რუსეთის მოქალაქეები იყვნენო ამის გამო გარეშე საქმეთა სამინისტრო შეეკითხა ბათომის და მისი ოლქის განსაკუთრებულ კომისარს ბ. ჩხიკვიშვილს, რომელმაც უპასუხა: რუსების დევნის ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება. მართალია აგვისტოს პირველ რიცხვებში 30 კაცი დავაპატიმრეთ მაგრამ ისინი უეჭველად არა საიმედო, ელემენტები იყვნენ ეს პირები დაპატიმრებული არიან, მხოლოდ ციხეში კი არ სხედან, არამედ მახინჯაურის აგარაკზე მყოფ ბანაკში იმყოფებიანო. ჩხიკვიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა რუსეთში ასეთ ელემენტებს უფრო მკაცრად სჯიან.

# ახალი ამბები

## სამინისტროებში.

**— შვებულება სახელმწიფო დაწესებულების მოხელეთათვის.** სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა ქუთაისის კავშირმა მიმართა ფინანსთა სამინისტროს თხოვნით ყოველწლიურ შვებულების შესახებ განმარტებისათვის. ფინანსთა სამინისტრომ ამ საქმის განმარტება შრომის სამინისტროს მოსთხოვა. შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ რესპუბლიკის მომქმედ კანონებში შვებულების შესახებ არაფერია ნათქვამი და ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულებულია ამა, თუ იმ დაწესებულების უფროსთან შეთანხმებაზეო.

## ქალაქის თვითმართველობა

**— სასკოლო საქმე.** ქალაქის თვითმართველობამ შეიმუშავა გეგმა სამოსწავლო წლის დასაწყისიდან ბავშვთა აღზრდის საქმის დაყენების შესახებ. ქალაქის სხვა და სხვა უბნებში გაიხსნება საბავშვო ბაღები, სადაც მიიღებენ 5 და მეტ წლიან ბავშვებს. ამასთანავე დაწყებით სკოლების პირველ განყოფილებაში ბავშვის აღზრდის მეთოდიკას შემოიღებენ, მზგავსად საბავშვო ბაღებისა. დაწყებით სკოლებში მიიღებენ ბავშვებს 6 წლიდან. ოჯახისა და სკოლის გასაერთიანებლად ყოველ სკოლებთან დაარსდება მშობელთა წრე. ქალაქის თვითმართველობამ უკვე შეიმუშავა მშობელთა წრის წესდება. დაბალ სკოლებში შემოიღებენ ტანვარჯიშობის სწავლებასაც.

**— ქალაქის საბჭოს სხდომა.** 23 მარიამობისთვეს ქალაქის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქმნა ქალაქის გამგეობის მიერ წარმოდგენილი მოხსენებანი: ტრამვაის, წყლის და ქალაქის სასაკალოს ტარიფის გადიდების შესახებ. ქალაქის საბჭომ განიხილა რა ზემოაღნიშნული საკითხები, დაადასტურა გამგეობის მოხსენება. ამავე სხდომაზე ქალაქის საბჭომ სურვილი გამოსთქვა ქალაქის განაპირა კუთხეებში გადიდებულ იქმნეს წყალის ონკანების რიცხვი, რათა უბნის ღარიბეს მცხოვრებთ საშუალება მიეცეთ მით ისარგებლონ.

— ქალაქის საბჭომ გამოსთქვა სურვილი ქალაქში მოწყობილ იქნეს უფასო აბანოები ქალაქის ღარიბეს მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

— აგრეთვე საბჭომ გამოსთქვა სურვილი, რათა ქალაქში სურსათ-სანოვაგე ნაწილდებოდეს იმ რიგად, რომ მათ პირველ რიგში სარგებლობდეს ქალაქის ღარიბესი მცხოვრები—სათანადო ზომების მიღება ამ სურვილთა განსახორციელებლად დაევალა ქალაქის გამგეობას.

**— საქონლის ჭირი.** ქალაქის სამკურნალო სასანიტარო კომისიამ, რომელშიაც შედიან ექიმები ბურჯანაძე, ლანგე და ოგაჯანოვი დაათვალიერა ქალაქის საძოვრები და საქონლის წყლის სასმელები. წყლის სასმელები რომელიც მდებარეობს ნაძალადევში ბევრი დეფექტი აღმოაჩინეს და ქალაქის გამგეობას მოსთხოვეს ამ წყლის სასმელთა გაუმჯობესება.

**— ელექტრონის ენერგია.** ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ელექტრონის ენერგიით სარგებლობის შემდეგი ნიხრი. 1. სავაჭრო სამრეწველო და გასართობ დაწესებულებებში 10 სანთლიან ელექტრონის შუშაზე წესდება 65 მან. გადასახადი თვიურად, 16 სანთ.—104 მ. 25 სანთ.—162 მ. 32 სანთ.—207 მ. 50 სანთ.—დი ზევით 324 მან. 100 სანთ.—და ზევით 648 მ. 2. კერძო ხახლებსა, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში 10 სანთლიანი ელექტრონის შუშაზე წესდება 45 მანეთის გადასახადი თვიურად; 16 სანთ.—72 მ.; 25 სანთ.—112 მ. 32 სანთ.—144 მ.; 50 სანთ. და ზევით 225 მან.; 100 სანთლიანი და ზევით 450 მან. 3 ნახშირიან შუშებზე გადასახადი ერთი სამად დიდდება. 4. ქუჩასა და საყარაულოებზე დადგმულ ელექტრონზე ნიხრი, თუ მრიცხველი არ არის, ერთი სამად დიდდება. 5. აბონიმენტებს უფლება ეძლევათ ანგარიში გასწორონ ან ელექტრონის შუშის და ან მრიცხველის მიხედვით. სავაჭრო სამრეწველოებმ ერთი კილოუატსაათისათვის 36 მანეთი გადახდება, კერძო ბინებს 25 მანეთი, საზოგადო სამრეწველოებსა და დაძესებულებებს 30 მანეთი და 27 კაპ.

## ქალაქთა კავშირში

**— მარგანეცის ელევატორების შეკეთება.** ქალაქთა კავშირი ფოთის ქალაქის თვითმართველობასთან ერთად ფოთის ნავთსადგურში არსებულ მარგანეცის ელევატორების შეკეთებას შეუდგა. პირველი ელევატორი დაიწყებს მოქმედებას სამი კვირის შემდეგ. ელევატორების შეკეთება მარგანეცის მუშების დატვირთვას ბევრად დააჩქარებს. ამასთანავე მიღებულია ზომები ქალაქის ძველი ელექტრონის სადგურის შესაკეთებლად.

**— ჰიდრო-ელექტრიული ენერგია.** ქალაქთა კავშირის მთავარი ინჟენერი ა. ბულგაკოვი იუწყება, რომ მან სენაკის ერობის ინჟენერებთან ერთად მოახდინა მდინარე ტეხურის გამოკვლევა ნაქალაქევისა და აბანოს შუა, გამოკვლევამ გამოარკვია შესაძლებლობა ამ რაიონში ძლიერი ჰიდრო-ელექტრიული სადგურის მოწყობისა. წინასწარი გეგმა სადგურის დადგმის მოწყობისა უკვე შემუშავებულია. ელექტრონი მოხმარება ქალაქს და საწარმოო დაწესებულებებს. გამოარკვიეს აგრეთვე საკითხი სამტრედიის რაიონში ჰიდრო-ელექტრიულ სადგურის მოწყობისა. ვინაიდან ამ საკითხის განხორციელება დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ამიტომ თვით ქალაქში მთბობრი ელექტრონის სადგურის მოწყობა გადასწყდა. განზრახულია აგრეთვე ჰიდრი-ელექტრონის სადგურების აგება ხონსა და ონში.

## სასოფლო მეურნეობა.

**— სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა.** ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა მიიღო ზომები რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობისა და პურის მოსავლის გამოსარკვევად. ამ საკითხების დაჩქარებით გამოსარკვევად თიანეთის, ახალქალაქის და ლეჩხუმის მაზრებში გაიგზავნა სტატისტიკები. ამას გარდა მიღებულია ზომები ახალქალაქის სამაზრო ერობაში სტატისტიკური საქმის სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად.

## მუშათა ცხოვრება.

**— სურსათ-სანოვაგის მოწოდება.** მუშათა მაგიდამ მომარაგების სამინისტროს განმანაწილებელ განყოფილებას თხოვნით მიმართა, აცნობოს მან ყოველ თვიურად თუ რამდენ პურს აძლევს იგი თბილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას.

ბათომის მუშათა მაგიდას ეცნობა, რომ შრომის სამინისტროს მიერ ბათომის მუშათა მაგიდის სახელზე მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის გაგზავნილია ფქვილი და ბრინჯი. ბათომის მუშათა მაგიდას ევალება აცნობოს მთავარ მაგიდას რიცხვი იმ პირებისა რომლებსაც სურსათ-სანოვაგე უნდა მიეცეს.

მუშათა მაგიდამ ქუთაისის მასწავლებელთა კავშირს აცნობა, რომ იგი მ-ს სულ მოკლე ხანში დააკმაყოფილებს საჭირო სურსათ-სანოვაგით.

**— სოციალური დახმარება.** 29 აგვისტოს ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია პირველი კრება სოციალურ დახმარების ცენტრალურ საზოგადოების საბჭოს რწმუნებულებისა.

## სურსათი

**— ნიხრი სანოვაგეზე.** მუშათა მაგიდამ გაამრავლა იმ კონტროლთა რიცხვი, რომლებსაც ბაზრის თვალყურის დევნება ევალებათ.

## სხვა და სხვა ამბები.

**— ილ. წინამძღვრიშვილის ავადმყოფობა.** ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწე ილია წინამძღვრიშვილი მძიმედაა ავად.

**— დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის განყოფილება.** ბათომში დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის ნაწარმოებთა ყალბ ეტიკეტებ ქვეშ გაყიდვის გამო იქ ამ მოკლე ხანში იხსნება საგანგებო განყოფილება, სადაც ქარხნის ფასებში გაიყიდება სარაჯიშვილის კონიაკი და არაყი.

**— თავდასხმა.** კოჯორიდან გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში 4 უცნობი პირი გვარდიელის ტანსამოსში გამოწყობილი თავს დაესხა ბაშარულის აგარაკს და იქ მყოფ ქალს წაართვეს ბრილიანტის ნივთები და გაიქცნენ. აქედან ახალ გვარდიელებმა შეიპყრეს 3 მათგანი. ერთი დახვრიტეს, ორს 10 წლ. კატორღა მიუსაჯეს. მესამე გაიქცა.

**— აზიური ხოლერა.** 22 აგვისტოს გახდენ ავად აზიურ ხოლერით მალაკნის ქალები მ. ზჩერბაკოვა 50 წ. და ვ. ზჩერბაკოვა 16 წ. მ. ზჩერბაკოვა იმავე დღეს გადაცვალა.

21 აგვისტოს ხოლერით გადაცვალა ირინე კუზმინა 65 წლ. სულ 23 აგვისტომდის გახდა ავად ხოლერით 20 კაცი, მათ შორის 14 გადაიცვალა და 1 გამორჩა.

## თეატრი და ხელოვნება

**— ახალი ოპერა.** კომპ. დ. არაყიშვილს უკვე დაუმთავრებია ახალი ლირიკულ-კომიკური ოპერა 3 მოქმედებად. თემა ისტორიულია, მეფე ლუარსაბის დროისა. მოსალოდნელია ოპერა დამდეგ სეზონში წავიდეს.

**— ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი** თელავიდან თბილისს დაბრუნდა.

## პროვინცია.

**— ქუთაისი. თვითმკვლელობა** ქუთაისში 9 მარტს რევოლვერით თავი მოიკლა თავის სახლში გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლემ თამარა ჩიქოვანის ასულმა. განსვენებული ორიოდე წლის წინად ჩამოვიდა ქუთაისში პეტროგრადიდან, სადაც ის სმოლნის ინსტიტუტში სწავლობდა. განსვენებულის მშობლები იძულებული იყვნენ რუსეთში მიეტოვებინათ ყოველივე ქონება ბოლშევიკურ გადატრიალების გამო და ერთად ერთი ქალიშვილით საქართველოში წამოსულიყვნენ. მხოლოდ ძვირფასი ნივთების გამოტანა მოახერხეს და აქედან იშვიათი ბრილიანტები, 4 5 მილიონად ღირებული განსვენებულის მამას მოსტაცეს ამას წინად თბილისში.

მამის თბილისიდან დაბრუნებამდე არ ისურვეს ქალიშვილისთვის ბრილიანტების დაკარგვის გამჟღავნება. განსვენებული მხოლოდ მჩნევდა ოჯახში საერთო დაღვრემილობას და ოჯახში მოსულ პირთა ჩურჩულს. ქალი შიშმა აიტანა, ალბად მამას რამ შეემთხვაო. ყოველ დღე მატარებლებს უცდიდა მამის მილოდინში. ბოლოს თბილისიდან ჩამოვიდა ერთი მათი ნათესავი ქალი, რომელსაც ქალმა შეშინებულად ჰკითხა: მამას რა მოუვიდა, სად არის რომ არ მოდისო. ქალი უპასუხეს: მას ბრილიანტები წაართვეს და თან მისთვის გამზადებული ჰქონდათ ნაჯახი, სკივრი ჩასაკეტად და სხ. მაგრამ გადარჩა და მალე ჩამოვაო. ქალმა წარმოიდგინა ოჯახში დაღვრემილობის სურათი და დარწმუნდა, რომ თუ მამა მის ბრილიანტები წაართვეს, მაშასადამე ისიც მოუკლავთ, ვინაიდან ბრილიანტები მას თავის ხელით დაუკერებია მამისთვის გულზე, არ დაგეკარგოსო. ამის შემდგომ განსვენებული გასულა მეორე ოთახში და მამის რევოლვერით თავი მოუკლავს. საბრალო ქალის დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო

---

ნ. აზიანი

# სიძვირე და მომატება

## ფელეტონი

„სიძვირე“ და „მომატება“ ერთ მანეთს შეეჯიბრნენ, ვის. ვინ გაუსწრობს წინ რბენაში, ვინ ვის დაეწევო.

„სიძვირემ“ ზიზღით გადახედა „მომატებას“ და უთხრა: „სანამ შენ ერთ ფეხს დაჰკრავ, მე ცხრა მთას იქით გავჩნდებიო“. „მომატებამ“ საშინლათ იწყინა ეს და გულმოსული უპასუხა: „აბა თუ ბიჭი ხარ და დამეწევიო!“

— შე უბედურო, — მიუგო „სიძვირემ“ — წერა საც ანიხარ, თუ რა ამბავია? თავათ ისედაც გულის სიგანივრე გჭირს, აბა შენ რა ხელს მოგცემს ჩემთან შეჯიბრებაო?!“ — ვნახოთ, დაიწყოთ — დაიმედებით უპასუხა „მომატებამ“ —ცარიელი ტრაბახი ხომ არ არის საქმე!

აქვე, შორი ახლოს, იდგნენ მათი მშობლებიც — ქნი სპეკულიაცია და ქ-ნი სატარიფო პალატა და ესენი ცალკე იჭერდნენ სანაძლეო:

— მართალია დიდი ჯალაფი გქვს, — დაცინვით ეუბნებოდა ქნი სპეკულიაცია ქ-ნ სატარიფო პალატას — დიდი მისადევარი — მოსდევს ... მაგრამ ის რათა ღირს, რომ შენსთანა წარჩინებული ქმარი თავს გადგია, როგორც ბ-ნი მთავრობა, მაგრამ, ვნახავთ, რაც საწყის ბთ ჩვენთან! ჩვენ „ძირმაგარაანთ ოჯახს გეძახიან“!

— „თუ ჟულიკების ოჯახი? — გაფთრებით უპასუხა ბ-მა სატარიფო პალატამ მაშ ქალი არ ვიქნები, თუ დედა-ბუდიანათ არ ამოგწყვიტეთ და თქვენი „დუხი“ არ გააქრე მთელს არე მარეზე! მოიცადეთ, ცუდად გამტირებთ ჩემი ქმარი! ურმით არ გდევთ! ჯერ-ჯერობით თქვენ დასაჭერით ჩვენი ფინი „ტაქს-ტაქსაც“ გეყოფათ.

ქ-მა სპეკულიაციამ მხიარულად დახარხარა. ქნა „სატარიფო პალატამ“ კი შვილს დაუძახა: „აქმო გენაცვალოს დედა“. „მომატება გულის ქანით მიუახლოვდა და ყურები მიუშვირა დედის ტუჩებს.

— გენაცვალოს დედა, — წასჩურჩულა „სატარიფო პალატამ“ — ამათ არ გავხადო მეცა და მამაშენიც! ჩვენის დასაცინი საქმე არ გაგვიხადო! ერთი მარდად დაიჭირე და კარგა დღე! აბა, მაინც და მაინც ერთი ორი ჭიქა არაყი გადაჰკარ გულის გასამხნევებლათ!!!

მომ დემ გადაუშვა ვიბრუშე ა ჭიქა არაყი და, გაკაჟებული, გამოუდგა სიძვირეს.

უკან აჰყვა პატარა ფინია „ტაქს-ტაქსაც“, რომელიც ყეფით არეშარეს აყრუებდა და თან ხან ერთ ბარკალში სწვდა, ხან მეორეში სიძვირეს, მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ, ამით ვერ შეაჩერა იმისი წინ რბენა... სიძვირე მაინც შეურდულივით გარბოდა წინ, თან გზა და გზა თითო ისეთ წიხლებს სთავაზობდა ამ შენ ფინია „ტაქს-ტაქსას“, რომ ეს უკანასკნელი, მთლათ დალურჯებული, მალე შუა გზაზე გაეთხლართა და სულსა ჰლევდა.

ეგ ჯერი არ არი!—წამოიძახა ქნაც გამოლეულმა მომატებამ შენ ერთი ფეხით წინ წადექი და ჰაი, ჰაი, გამისწრე!

—„მიზეზ მიზეზ,-დოს მ რილი აკლიაო!“ უპასუხა „სიძვირემ“ დაცინვით — ეს წამ დაიწყოთ მეორე.

ქ-ნა სპეკულიაციამ ზიზღით და სიბრალულით გადახედა „მომატებას“ და წაიდუდუნა: „დედამ რო შვილი ინატროს, ემაგრე შენისთანაო!“ ქ-ნსა „ტარიფო პალატა“ კი ჭირის ოფლსა სწმე და შვილის შუბლიდან. ორის მაგივრად, ახლა ოთხი ჭიქა არაყი გადააკვრევინა თავის დედის ერთა ვაჟსა, მაგრამ ვაი უბედურებას!—ამანაც ვერ უშველა: მაინც სიძვირემ გაუსწრო რბენაში! დაიწყეს ახლად: მესამედ, მეოთხეთ, მეშვიდედ, მაგრამ—„სადღოღეთი, სადჩოჩეთი!“—„მომატება“ მაინც სულ უკანა რჩებოდა, თუმცა დედა, „სატარიფო პალატა,“ უმატებდა და უმატებდა შვილს არაყის პორციებს.

მეათედ, რომ გაიქცნენ და უიშენ მომატებას“ გული გაუსკდა, ციბრუტივით დატრიალდა და იქვე, ფინია „ტაქს-ტაქსას“ გვერდზე უსულოთ დაეცა.

მივარდა თმა-გაწეწილი, გამწარებული დედა, ქ-ნი „სატარიფო პალატა“, ამაოთ ასულიერებდა შვილს, ქოქოლას აყრიდა სპეკულიაციას და „სიძვირეს“, თან მოთქმით დასტიროდა შვილის უსულო გვამს: „მოგიკვდეს დედა, შვილო! ერა დღე დაგვაყენე მე და მამაშენს?! ჩვენო იმედო, ჩვენო ნუგეშო! ვის ამარა დაგვტოვე, ვილას შევხაროთ?!“ ქ-ნი სპეკულიაცია და „სიძვირე“ კი ხარხარებდნენ.

---

# უცხოეთის ფოსტა.

**მაქსიმ გორკი და წითელი რუსეთი.**

ამერიკულ წითელ ჯვრის წარმომადგენელს უნახავს მაქსიმე გორკი და დიდხანს უსაუბრნია თანამედროვე რუსეთის მდგომარეობაზე. ყოველი განცხადება გორკისა უმაღლეს მწუხარებითაა აღსავსე. მას არაფერი არა სწამს რა მომავლისა. „არ რის იმედი უნდა მქონდეს? —სთქვა სულ ბოლოს: თმა ყალყს დგება ყველა იმ შემზარავ სურათების ნახვით, რაც რომ რუსეთმა განიცადა. მაგრამ ის, რაც მას მოელის, იმასაც განვჭრეტ და მიტომაც ჩემს ვაებას არა აქვს საზღვარი. სადღაა მოსკოვი? იგი სისხლისა და ტალახის ოკეანედ გარდაიქცა. აწბორებული წუმპეები, მოშხამული ჰაერი და უმწეო მშიერ-მწყურვალი ხალხი ერთად ერთ მილიონ მიაზმებით შესუნთქავენ, აი დღევანდელი მოსკოვი. გაზაფხულზე გამდნარმა თოვლმა რუსეთი დაუსრულებელ ჭაობათ აქცია. ახლა დადგება შემოდგომა, შემდეგ ზამთარი და ჩვენ კი აღარა შეგვრჩენია რა, აღარც საჭმელი, არც სასმელი, არც გასათბობი, არც წამლები მედიკამენტი, თვით საპონიც კი... ეხლა შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა არის წითელი რუსეთი და რა იქნება მისი მომავალი... არა, ჩემს მწუხარებას სიტყვებით ვეღარ გამოვხატავთ...

**ლენინი და ინგლისელი მუშები.**

ამას წინად ლენინმა ღია წერილით მიჰმართა ინგლისელ მუშებს და მოუწოდა, მხარი დაგვიჭირეთ ამ დიდს რევოლუციაში და თქვენშიც ბოლშევიკური გადატრიალება მოახდინეთ, როგორც რუსეთში. ამის შესახებ პარლამენტში მუშათა წარმომადგენლებმა დიდხანს იმსჯელეს და, რა თქმა უნდა ერთხმად უარჰყვეს ლენინის მოწოდება. შემდეგ „ივენინგ ნეუსმა“ გამოაქვეყნა როგორც მუშათა წარმომადგენლების რეზოლუცია, ისე ინგლისის სამხედრო მინისტრ ჩერჩილის წერილი, სადაც სხვათა შორის, ნათქვამია: „რუსეთის წითელმა დიქტატორებმა თავისი მოქმედებით და უკმეხობით თვითონვე თვალები აუხილეს იმ მცირეოდენთაც კი, ვისაც ბოლშევიზმის დიადი მოწოდებისა რამე სჯეროდათ და ლენინს მესსიათ უყურებდნენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლენინმა თავისი მოქმედებით მილიონი ხალხი შესწირა რევოლუციის მოლოხს და თავის სამშობლო რუსეთს აალალა თავიდან ის დაფნის შტო, რომელიც გამარჯვების შემდეგ იმასაც უნდა ჰრგებოდა წილად. ლენინმა მოსპო პარლამენტარიზმი რუსეთში, ლენინმავე წაართვა რუსეთს მშვიდობიანობა, თავისუფლება, მერე და რა მისცა სამაგიერო: შიმშილ-წყურვილი, სიტიტვლე, ქალაქების ამოჟლეტა, მრეწველობისა და მიწადმოქმედების სრული განადგურება... არა, ინგლისელი მუშები იმდენად არ დაბრმავებულან, რომ ლენინის მიერ აღთქმული უბედურებანი თავიანთ სამშობლოსთვისაც მიერთმიათ „ტანი“.

**გოდება ოსმალეთში**

საზავო პირობებზე იძულებით ხელის მოწერამ საზოგადო ტრაურით შეჰმოსა მთელი ოსმალეთი. ყველა ჟურნალ-გაზეთებში გაისმის გოდება და მოთქმა. განსაკუთრებით „პეიამ-საბაჰ“-მა უძღვნა სერია წერილები ამ სათაურით: „იტირეთ თვალნო ჩემნო, იტირეთ“... ამ წერილებში აღმოსავლეთური გულჩვილობით უჩივლიან ბედს, რომ ოსმალეთი, რომელსაც დანაშაულად მხოლოდ ის მიუძღვის, რომ მსოფლიო ომში ავანტიურისტის მეოხებით ჩაერია და საკმაოდ ძლიერი ვერ გამოდგა მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად, დღეს ყველაზე მეტ უბედურებას იღებს თავზე, ჰკარგავს მთელს სამკვიდრებელს, მესაპოტამიას, სირია-პალესტინას, სმირნას, ანატოლიას, ერთ სიტყვით, მთელს ვილაეთებს, ევროპიდან გამოძევებულ იქმნა და სტამბოლიც ხომ გაფრენილია, იქ ყოფნა ჩვენი სულთანისა აჩრდილის მეფობასა ნიშნავს და მეტს არასფერს „მაშ რა გველის, რა; გამარჯვებულნი მახვილით კისერთან დაგვდგომიან და ღიმილით გვეუბნებიან: „ჩვენთვის სულ ერთია, ხელს მოაწერთ თუ არა, ძალას არ შეუძლიან საზავო პირობების დადების დროს ლმობიერება გამოიჩინოს“... ეჰა, ყველასფერი დაკარგულია... იტირეთ, თვალნო ჩემნო, იტირეთ.. „ბოსფორი“.

**ძეგლი კლემანსოს**

მოქანდაკე სივერდს უკვე დაუმთავრებია მოკავშირეთა გამარჯვების უდიდეს ორგანიზატორ ჟორჟ კლემანსოს ძეგლი, რომელიც ვანდეაში, სენტ პერმინეში გამოუდგავთ, ძეგლი ფრიად შთაბეჭდილებას ახდენს თურმე. იგი გამოკვეთილი ბურგონიის მაგარი ქვიდან. კლემანსო ფიქრმორეული და ბედნიერ ღიმილით შემკულ სახით შეჰხარის სივრცეს. სამოსად აცვია გრძელი ლეგენდარული კოსტიუმი, რომელსაც გამარჯვების მამა ატარებდა უბრალო ქუდით, თავიდან ბოლომდე ჩაღილული პალტოთი, მარჯვენა ხელით დაყრდნობილია ჯოხზე და ათასი კითხვებით მისჩერებია ჰორიზონტსა. მის მარცხნივ ერთი ოფიცერი სდგას და საჭირო განმარტებას აძლევს მტრის ადგილ მდებარეობისა და პოზიციების შესახებ. ყოველი ნაკვთი კლემანსოსი სიძლიერის აღმხატველია, განსაკუთრებით ძარღვიანი ხელები, რომელნიც ნერვიულად შემოჰმუჭია ჯოხის თავსა. ძეგლის გარშემო კიდევ რამდენიმე ჯარის კაცია. ყველანი ფრიად შესწავლილი არიან დამახასიათებელი მეტყველებით. მათში იცნობთ ფრანგ გლეხებს მტკიცე და გარდამწყვეტი ნების ყოფით და აღაფრთოვანებულ გატაცებით. მოქანდაკეს დასასრულებელი აქვს მხოლოდ რამდენიმე აქსესუარი, რომელთა მნიშვნელობა არც ისე დიდია. სხვა ფრივ ძეგლი უკვე დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. „პრესდე-სუარი.—

---

# [illegible]

**სოჭის აღება ვრანგელის ჯარებ მიერ ვრანგელის იერიში შავი ზღვის სანაპიროზე.**

გენ. ვრანგელის შტაბი ოფიციალურად იუწყება, რომ ძლიერი ბრძოლის შემდეგ მისმა ჯარებმა, საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ ამხედრებულ გლეხობის დახმარებით დაიკავეს შავი ზღვის სანაპირო რაიონი ადლერიდან სოჭამდე.

სოჭასთას ბრძოლის დროს ვრანგელის ჯარებს ტყვეთ წამოუყვანიათ 200 კაცი, და 2 მძიმე ზარბაზანი.

**დესანტი ყუბანში.**

დესანტს, რომელიც გენ. ვრანგელმა, ბოლშევიკების ცნობით გადმოსხა ყუბანის ტერიტორიაზე, მიზნადა ჰქონია ყუბანის სატახტო ქალაქ ეკატერინოდარის დაპყრობა, ყაზახთა საერთო აჯანყების მოწყობა და გალაშქრება როსტოვისკენ.

**გლეხთა აჯანყება**

სოხუმიდან მოსულ ცნობებით შავი ზღვის პირას კვლავ დაწყებულა აჯანყება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ბოლშევიკები უღონოთ არიან მათ წინააღმდეგ, ვინაიდან მთელი მათი ძალა მიმართულია ვ ანგელის წინააღმდეგ, ეკატერინოდარის დასაცავად.

**ბაქოში.**

მოსულ ცნობებით ბოლშევიკებს ჩამოურთმევიათ ბაქოში მთელი ნავთის წარმოება მწარმოებლებისათვის და დაუტოვებიათ მხოლოდ საზოგადო ორგანიზაციისათვის, რომელთაც ახერხებენ მიწერას ზოგიერთი მსხვილი მწარმოებელი.

**კავკავი.**

კავკავიდან ჩამოსულთა სიტყვით მატარებლების მიმოსვლა სწარმოებს მხოლოდ სსდ დარკოხამდის.

მ ზეზებს „მინერალურ წყლებთან“ მიძრაობის შეწყვეტისას ბოლშევიკები მალავენ. კავკავშივე ჩასულან ბევრი წითელ არმიელი მათ შორის მოზარდენი და მოხუცნი.

ყველანი საზარელ შთაბეჭდილებას სტოვენ თვის გარეგნობით და ჩაცმა დახურვით.

**სომხეთის ახალი კაბინეტი.**

სარწმუნო წყაროებიდან მოსულ ცნობებით სომხეთში სდგება ახალი კაბინეტი, რომელშიაც შევა სხვათა შორის ოსმალეთის სომხეთის წარმომადგენელი.

---

# კოოპერატ. საზ. „კახეთი“ს წევრთა საგანგებო კრება.

კვირას, აგვისტოს 22-ს, შესდგა საგანგებო კრება კახელ მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოება „კახეთის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას სწერენ გაზეთებში

**„ამხანაგორი“.**

დაშნაკცუთიუნის ორგანო „ამხანაგორი“-ი 24 აგვისტოს მეთავარ წერილში სწერს: ამიერკავკასიის რესპუბლიკათა [illegible]

[illegible]

მეორე მხრით მუსტაფა ქემალის „წითელი“ [illegible] აგრეთვე ცხადი და გარკვეულია. ქართველ და სომხის მშრომელ მასსათათვის „წითელი“ ოსმალეთის შემოჭრა სამხრეთიდან თანასწორია არა მარტო თავისუფლების და რევოლუციის მოსპობისა, არამედ ხალხის ფიზიკურად განადგურებისაც. [illegible]

[illegible] ვიმეორებთ, წარსულის ისტორიული სურსათები და დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა აყენებენ ორივე რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე თანამშრომლობის და დაახლოვების აუცილებლობას“.—

# კულტურული მუშაობა ჯარში.

## მე-7 რაზმი.

არც ერთი სამხედრო ნაწილი ისე არ არის ჩამორჩენილი კულტურულ მუშაობის მხრივ როგორც მე 7 რაზმი, მიუხედავად იმისა, რომ კულტურული ძალები ძლიერ ბევრია. არც გაზეთი თავის დროზედ, არც ჟურნალი, არც საუბარი, არც წერა-კითხვის სწავლება, თითქმის არაფერი. არსებობს სამკითხველო რომლითაც მარტო თვითონ კულტ. სექცია და რაზმის მწერლები თუ სარგებლობენ, თორემ ჯარის კაცებმა არც კი იციან მისი არსებობა. ყველა ამის მიზეზი არის კულტურულ განმანათლებელი სექციის ინსტრუქტორი ი. მინდელი. არ შეგვიძლია სექციის არ ვუსაყვედუროთ ასეთი პიროვნების დანიშვნა.

კულტურული მუშაობა ჯარში ახალი და სათუთი საქმეა. ზოგი ამას ზერელედ უყურებს, ჯამაგირების აღებით უფრო არის დაინტერესებული, ვიდრე საქმით, გამოგზავნეს კაცი მოკლებული სიტყვას, ენერგიას და ორგანიზაციის ნიჭს. მიუხედავად იმისა, რომ რაზმის უფროსი ყოველმხრივ ხელს უწყობს, როგორმე მოჰყვანოდეს საქმე, მას ვერაფერი მოუხერხებია, თუ რამ წარმოდგენა ან ლექცია გამართულა, ისიც კერძო ინიციატივით, რომელსაც მეტ წილად თვითონ არც კი ესწრება. ნუ თუ კულტურულმა სექციამ ვერ იშოვნა გამჭრიახი, შრომის მოყვარე და ენერგიით სავსე კაცი? ჩვენ ამას ვერ დავიჯერებთ.

საინტერესოა აგრეთვე გავიგოთ, ვინ დანიშნა ინსტრუქტორ ოფიცრის თანამდებობის აღმასრულებლად ლეიტ. ბოლქვაძე? მივაქცევთ სექციის ყურადღებას აგრეთვე იმაზე რომ რაზმში არ იგზავნება ყველა ჟურნალ-გაზეთები და მათ შორის გაზეთი „საქართველო“ ხშებია თითქოს სექციამ აკრძალა. არა სოციალისტური გაზეთები ჯარში. იმედია სექცია მოსპობს ამ გაუგებრობას და აგრეთვე დაგვინიშნავს ისეთს ხელმძღვანელი, რომელნიც შეეფერებიან ამ წმინდა საქმეს ჯარში.

ჯ. ქ. ერთი ჯგუფის დავალებით ჯარის კაცი ტ. ხუნაშვილი.

---

წევრთა. კრება გახსნა ლ. ი. გოგნიაშვილმა; კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რ. გაბაშვილი, მდივნათ ი. ავალიშვილი. კრებას პირველათ სიტყვით მიმართა საქართველოს მეურმოემელ საგამსაღებლო კავშირის სახელით ბ. გედევანიშვილი, რომელიც მიესალმა კავშირის სახელით და გააცნო კავშირის დანიშნულება. კრებას მოხსენდა ექვსი თვის ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს საზოგადოების დიდ მნიშვნელოვან მოღვაწეობად უნდა ჩაითვალოს უძრავ მამულის შეძენა დოლუხანოვის და სხვ. ტფილისში გოგოლის ქუჩაზე, რომელიც დღეს რამდენიმე ათ მილიონათ ჰღირს და გამგეობამ კი 600000 მანეთად შეიძინა.

ამ მამულში გარდა საცხოვრებელ ბინებისა, საწყობისა და კანტორისა, აგებულია ღვინის სამ სართულიანი სარდაფი, სადაც ევროპიულ წესზეა დაყენებული ღვინის შენახვა და დამზადება. საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას მიუღია 13 მილიონზე მეტი ღირებული ღვინო თვისი წევრებისაგან ნასიათ. ამავე ხნის განმავლობაში გაუცია წევრებისთვის 11 მილ. მანეთი ნაღდ ფულად, მიუწოდებია ვენახის საწამლებელი მასალები, მანქანები, შეუძენია კარდენახში და თელავში პუნქტები. გამოუცია ჟურნალი „ვაზი და ღვინო“, მოუწყვია ექსკურსია ბათომ-ჩაქვა-საქარაში კულტურულ ცენტრებთან გასაცნობად და უკვე შესდგომია ტფილისში საკუთარ მამულში ელექტრონის საღგურის აგებას, ღვინის სარდაფის ტეხნიკის გასაუმჯობესებლად და საკუთარ წისქვილის ასამოძრავებლად. კრება ერთხმად ამტკიცებს ანგარიშს. შემდეგ კრება ისმენს მორიგ საკითხს კახეთში მამულის შეძენის და სარდაფის აშენების შესახებ და გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: საზოგადოება „კახეთი“-ს საგანგებო კრება ნებას აძლევს საბჭო-გამგეობას შეიძინოს ს. კარდენახში, სიღნაღის მაზრაში უძრავი მამული ლ. ზ. ვაჩნაძისაგან. სარდაფის აშენების საკითხი მოხსნილ იქმნა დღიურ წესრიგიდან. სესხის აღების შესახებ. კრება იღებს ერთხმად შემდეგ რეზოლიუციას: „მიენდოს საზოგ. „კახეთის“ გამგეობას აიღოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან 60 მილიონი მანეთამდე გრძელ ვადიანი სესხი სავალიუტო საქონლის შესაძენლად“. გამგეობის ჯამაგირების მომატების შესახებ, კრება თვით საბჭოს ანდობს გადასაწყვეტად.

---

# ჩვენი კორესპონდენტები

## ოკრიბის საშინელება

(ტყიბულის რაიონი)

ბევრჯერ ყოფილა აღნიშნული პრესაში და რამდენჯერმე წერილობითაც მოხსენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ საქართველოში სხვა კუთხეებთან შედარებით კულტურულად და ქონებრივად ძლიერ ჩამორჩენილია ტყიბულის რაიონი—ოკრიბა.

რუსეთის თვითმყრობელობის დროს „პრისტავებისა“ და „სტრაჟნიკების“ წყალობით ამ რაიონში სრული სიმშვიდე იყო და არავითარ განსაკუთრებულ ხასიათის ბოროტ-მოქმედებას აქ ადგილი არ ჰქონია.

მართალია, ადგილობრივი მცხოვრებნი იმ ხანებშიაც კულტურულ—საზოგადოებრივ საქმეებში არ იყვნენ ჩაბმულნი, მაგრამ მათ შეძლება მაინც ჰქონდათ პირადი საქმე—ეზო-გარემოს დამუშავება მშვიდობიან პირობებში ეწარმოებინათ, რასაც, საუბედუროდ, ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში მოკლებული არიან; დღეს ეს რაიონი ყაჩაღების სათარეშოდ გამხდარა, 1918 წლიდან ამ მხარეში მთავრობის პრესტიჟი სავსებით დაეცა. ხალხს ადმინისტრაციისადმი არავითარი ნდობა აღარ აქვს, ერობის ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობა არა სჩანს, ყაჩაღებს და მათ აგენტებს სოფლებში დაუხლართავს ინტრიგის ქსელი და ამ ჟამად სრული ანარქიაა; თუ საჩქარო-სასტიკი ზომები არ იქმნა მიღებული ამ მხარეში, შესაძლებელია განმეორდეს 1918 წლის ყაჩაღურ—„ბოლშევიკური“ ამბოხება და მთავრობას ხელმეორედ დასჭირდეს ჯარისა და ზარბაზნების გაგზავნა. 1918 წლის ოკრიბა—ლეჩხუმის აჯანყებას სხვებთან ერთად ოკრიბიდან მეთაურობდნენ ცნობილი ყაჩაღები, მორჩაძე და სირბილაძე (ყოფილი მანდიკორის საზოგადოების კომისარი) და ძოწენიძე. ამ აჯანყებაში მონაწილედ გახდნენ სოფლის ქურდ-ბაცაცები, ყოფილი „სტრაჟნიკები“ და ზოგი დამშეული მცხოვრებლებიც, რომელთაც დაპირდნენ უფასოდ სიმინდს და პურს; ამ ამბოხების ჩასაქრობად მთავრობას დასჭირდა მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილის გაგზავნა გენერალ სუმბათაშვილის მეთაურობით; ჯარმა თუმცა მასიური ხასიათის ამბოხება ჩააქრო, მაგრამ ამ ამბოხების ხელმძღვანელნი იმ დროს ვერ დაიჭირა და მათი დაჭერის საქმე გადავიდა სამაზრო მილიციის ხელში. მორჩაძის და მისი ამხანაგების ძებნამ მილიციას საქმე მისცა, ბევრმა კომისარმა და მილიციელმა შემოიარა ოკრიბა, ბევრი ხარჯი, ზარალი და განსაცდელი გადახდა ადგილობრივ ხალხს, მაგრამ რადგან ბევრი მოხელის საქმიანობა არ იყო გულწრფელი-ენერგიული, ყოველივემ ფუჭად ჩაიარა და მორჩაძემ თავის ამხანაგებით დიდხანს ითარეშა ოკრიბაში, რასაც ბევრი მსხვერპლი მოჰყვა.

რა ჩაიდინა მორჩაძემ, სირბილაძემ, ძოწენიძემ და მათმა ამხანაგებმა 1918 წელში?

1) მორჩაძემ მოჰკლა პრაპორშჩიკი უგრეხელიძე, მილიციონერი კაკუშაძე; მორჩაძე და სირბილაძე დაეცნენ რამდენჯერმე სოფლის სამმართველოებს, ჩამოართვეს იარაღი მილიციას და ხალხს დაეცნენ რამდენჯერმე რკინის გზის სადგურებს, ტყიბულის მაღაროებს, ტყიბულის ნაწილის საძილიციო უბანს; დაეცა ტყიბულის მაღაროების კომისარს სოფელ ხრესილში (სადგურთან); დაატყვევს მილიციონერებთან ერთად კომისარი ნიჟარაძე, რომელიც წაიყვანეს და მახლობელ სოფელში მოკლეს; სოფლებში დარწმუნებით ლაპარაკობენ, რომ კომისარი ნიჟარაძე სირბილაძის ხელით არის მოკლული, ამას გარდა მოკლეს სხვები 10 მეტი კაცი, მათ შორის გიმნაზიელი მესხი და ბევრი ყაჩაღური თავდაცემა მოახდინეს; მუქარის ბარათებით აგროვებდენ ფულს, სანოვაგეს და სხვა.

ამ ყაჩაღების ძებნაში ადმინისტრაციამ გამოიჩინა სრული უვიცობა, ბევრი ბოროტ-მოქმედებაც ჩაიდინა (იხილეთ გაზეთებში მოთავსებული წერილები: „წერილი ქუთაისიდან“ და „კომისართა მოღვაწეობის ნიმუშები და აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობა ქუთაისის გუბერნიის კომისარიატში № 19.413) გადასწვეს სახლები, გადაახდევინეს ხალხს ჯარიმა. ამ სიბოროტემ დიდხანს გასტანა, ყაჩაღების ასალაგმავად არ იყო მიჩენილი საიმედო ადმინისტრაცია, სამაზრო და სარაიონო მილიციაში ბევრი საეჭვო პირი იყო, ბევრს მათგანს ყაჩაღებთან კავშირი ჰქონდა; ამ უკანასკნელებისაგან ფულით სასყიდელს ღებულობდნენ.

1919 წელში ახლად დანიშნულმა მაზრის კომისარმა მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივი მილიცია უშლიდა, შესძლო ყაჩაღ სირბილაძის დაჭერა და მოახერხა ისიც, რომ ყაჩაღ ძოწენიძეს მოაკვლევინა მორჩაძეც, დაიჭირეს, მგონი, ცნობილაძეც და ორი-სამი კიდევ სხვა მათი ამხანაგი, მოჰკლეს მათი დამქაში ქურდ-ბაცაცა გოქაძეც; ამის შემდეგ ტყიბულის რაიონში შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა; ხალხი მშვიდობიან მუშაობას შეუდგა და ძველი უბედურება-გაჭირვებას ივიწყებდა; ხალხის შეგნებული ნაწილი ელის სირბილაძის და სხვების კანონიერი წესით გასამართლებას; ხალხი ჰფიქრობდა, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში კაცისა მკვლელს ხელი არ დაეფარებოდა, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდათ, ყაჩაღ სირბილაძეს, როგორც „ბოლშევიკსო“ მთავრობა ანთავისუფლებს 1920 წელში; *) ყაჩაღები ნანიკაშვილი და ძოწენიძე ახერხებენ ქუთაისის ციხეში დარაჯების მოსყიდვას და გაქცევას და ყველა ესენი იარაღში ჩამსხდარნი ევლინებიან ოკრიბას: 1920 წლის პირველ ნახევარში იწყება ძალდატანებითი კრებები, სადაც ხალხს გამოაქვს დადგენილება—ფიცი სირბილაძისა და მისი ამხანაგებისადმი ერთგულობის შესახებ., სოფლებში დაძრწიან და მცხოვრებლებს სახლებში უვარდებიან, სძარცვავენ გაჭარ ებრაელებს და ბევრს სხვებს სოფლად, ართმევენ სოფლის მილიციას იარაღს, ეცემიან გელათის სადგურს, დასჭრეს ამ სადგურის ახლოს კომისარი, მოჰკლეს რგუნის საზოგადოებაში 60 წლის მოხუცი ქალი; ამ 6—10 დღის წინად მოჰკლეს კანდელაკი, მესხი ანამეს მღვდელი გველესიანი, დასჭრეს საზოგადოების ყოფილი კომისარი სოფელ ოჯოლაში, ჩუბინიძე; დილიდან საღამომდის ეს ყაჩაღები სოფლად არღანზე ქეიფობენ, განუწყვეტელი თოფის სროლა აქვთ, მათი აგენტები სოფლად დაძრწიან, სოფლის ხალხი პანიკას მოუცავს, ბევრი მცხოვრები და საზაფხულოდ მოსულნი ქალაქის მცხოვრებნი სოფლიდან გარბიან, ამის მაგალითი, როცა გელათის სადგურის უფროსი (ეს იყო ამ ორი კვირის წინად) ცოლშვილით სადგურს სტოვებს ყაჩაღების მოსალოდნელი დაცემის გამო მეორეჯერ და ქუთაისში მიდის, ამ 4—6 დღის წინად სირბილაძემ და მისმა ამხანაგებმა განიზრახეს მოეტაცნათ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის, ვ. ჭიჭინაძის შვილი სოფ. ჭოლევში.

თემების დაყენებული მილიციამ ყოველივე ეს იცის, უყურებს და ესმის, მაგრამ ის ყაჩაღებს არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს და როდესაც ერთ სოფელში ყაჩაღები ვისმეს დაეცემიან და ეს ეცნობად მილიციას, ის მეორე სოფელში გარბის, სრულიად უაზროდ სროლას ასტეხენ და აძლევენ ნიშანს ყაჩაღებს, რათა ამ უკანასკნელებმა მათ გვერდი აუარონ; ყაჩაღები სიმთვრალის დროს არ ჰმალავენ, რომ მათ სოფლის მილიცია მოსყიდული ჰყავთ და ამ მხრივ მათ არავითარი საფრთხე არ მოელით, ამას ხალხი უყურებს, ჰგრძნობს რომ ადმინისტრაცია უვარგისია, მთავრობა ამ მდგომარეობას სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს [illegible] კვეთილებაშია. სოფლად იმასაც კი ლაპარაკობენ, რომ უმაღლესი ადმინისტრაციაც ქრთამს იღებს და ამას მითი ხსნიან, რომ სხვაფრივ ყაჩაღ სირბილაძის განთავისუფლება როგორ შეიძლებოდაო. რომ ოკრიბის რაიონში მთავრობის პრესტიჟი აღსდგეს სავსებით და მისდამი ხალხმა ან შიში და ან პატივისცემა იგრძნოს, საჭიროა:

1) ამ ყაჩაღებისა, სხვა საეჭვო პირებისა და მათი აგენტების სასწრაფო დაჭერა და სასტიკი დასჯა.

2) სანამ ადგილობრივი ერობა შესძლებდეს წესიერების დაცვას, უნდა დაინიშნოს მთავრობის მიერ საიმედო კომისარი და მილიცია; ჩემის აზრით ადგილობრივი მილიცია სრულიად უვარგისია და მათზე გაწეული ხარჯი არავითარ სარგებლობას არც ხალხს და არც სახელმწიფოს არ აძლევს.

3) ადგილობრივმა ერობამ უნდა აჩვენოს ხალხს თვისი საქმიანობა და მოხელეებს თავის დროზე ჯამაგირი უნდა მისცეს.

4) უნდა მოხდეს სენატის რევიზია და ნათლად გამოირკვეს 1918 წლიდან ადმინისტრაციის ყოველივე სისუსტე, ბოროტ-მოქმედება და ადგილობრივი მილიციის ყაჩაღებისადმი ხელის შეწყობა; დანაშაული მოხელეები უნდა დაისაჯონ.

5) ამ თავითვე დაჩქარებით კი უნდა გაიწმინდოს ტყიბულის რაიონის მავნე ელემენტებისაგან.

6) ბევრია ამ რაიონში ისეთი ბოროტ-მოქმედება, რაიც სამინისტრომდი ვერ აღწევს.

7) თუ შეიძლება და არ მოხერხდა სენატის რევიზია, უნდა წავიდეს კომისია დამფუძნებელ კრების წევრთა მეთაურობით.

როგორცა ჰხედავთ, ოკრიბის დღევანდელი მდგომარეობა პირდაპირ საშინელებაა. ამ კუთხის ასე დატოვება დიდი ბოროტებაა. საჭიროა უსასტიკესი ზომები და უსასტიკესი გამოძიება, რადგან ყაჩაღებს მარტო არ მიუძღვით დანაშაული ოკრიბის დარბევის საქმეში.

ფდი.

*) როგორც ირკვევა, ეს ყაჩაღი, რომელმაც ამდენი მკვლელობა ჩაიდინა, გაანთავისუფლეს, როგორც „იდეური ბოლშევიკი“. გამოშვების შემდგომ ის თავის ხელობას შეუდგა და მთავრობა იძულებული გახდა მის წინააღმდეგ მთელი რაზმები დაეგზავნა. როგორც გვატყობინებენ ეს „იდეური“ ბოლშევიკი უკვე მოუკლავთ მილიციელებს.


# სამოვარი

იყიდება იქვე დანა ჩანგალი და წვრილმანი ნივთეულობა

ყორღანოვის ქ., 28, ბინა 13.

იკითხეთ იუმაგოგი. 4—1.

# საჭიროა მოსამსახურე ქალი.

მოიკითხეთ „საქართველოს“ კანტორაში. 4—87—3

# საჭიროა

ბინა ქარხნისათვის

რომელიც მოთავსებული უნდა იყოს 200 კვადრატიული საჟენის სივრცეზე რაიონი სულერთია. მიჰმართეთ ოლღის ქ., № 6, „განათლება“—გამგონის

# იყიდება სამოსახლო მიწები

ქუთაისში გეგუთის ქუჩაზე ქალაქის გარე ხაზთან. [illegible]

ფოთში [illegible] „საქართველოს“ კანტორაში. 1—84—0

# საქართველოს სავაჭრო სამრეწველო ცენტრალურმა ბანკმა

## გახსნა განყოფილება

# ბორჯომში

აწარმოებს ყოველგვარ საბანკო ოპერაციას. [illegible] ტფილისიდან [illegible]

[illegible] 78


ნება დართულია სამხედრო ცენზურიდან.